ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 415

"16" აგვისტო 2024 წ.

ქ. თბილისი

„ქ. თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა №61-ში მდებარე, №01.14.06.004.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული პირებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი შეთანხმების პროექტის პირობების შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 მაისის №233 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის №330 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე

„საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის საფუძველზე და „ქ. თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა №61-ში მდებარე, №01.14.06.004.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული პირებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 1 მაისის №24.762.847 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 9 ივლისის №241183.1335 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 13 აგვისტოს №24.1401.1576 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. „ქ. თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა №61-ში მდებარე, №01.14.06.004.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული პირებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი შეთანხმების პროექტის პირობების შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 მაისის №233 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის №330 განკარგულების:

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 9 ივლისის №24.1183.1335 განკარგულების დანართი 1-ის პირველი პუნქტით განსაზღვრული - ლუბა ელიაშვილისთვის (პ.ნ. 01024004555) გადასაცემი ფართის სართულისა და ბინის მონაცემი

და ნაცვლად „სართული 6, ბინა №33, ბლოკი C1“-სა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „სართული 2, ბინა №5, ბლოკი C1”.

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 9 ივლისის №24.1183.1335 განკარგულებაში დანართი 2-ით განსაზღვრული შეთანხმების პროექტის დანართის პირველი პუნქტით განსაზღვრული ლუბა ელიაშვილისთვის (პ.ნ. 01024004555) გადასაცემი ფართის სართულისა და ბინის მონაცემი და ნაცვლად „სართული 6, ბინა №33, ბლოკი C1“-სა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „სართული 2, ბინა №5, ბლოკი C1”.

2. განკარგულება, 1 (ერთი) თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში ((მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №64) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე